ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: კონსტანტინე გელაშვილი

კომისიის წევრი: ანა ხურციძე

კომისიის წევრი: ანა ლორია

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.09.18

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 008/18

შეკითხვა:

გთხოვთ, მაცნობოთ აკრძალულია თუ არა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდგომ საერთო სასამართლოების მოსამართლის/მოსამართლეთა მიერ გაკეთებული ზეპირი განმარტების (რომელიც არ იწერება სასამართლოს სხდომების აუდიო ჩაწერის სისტემით) აუდიო ჩაწერის გაკეთება (მობილური ტელეფონით ან სხვა აუდიო მოწყობილობით) ადვოკატის მიერ, სასამართლო სხდომის დარბაზში? და თუ ასეთი რამ აკრძალულია, გთხოვთ, მიმითითოთ აღნიშნული ქმედებისთვის გათვალისწინებული სანქცია/ჯარიმა და შესაბამისი სამართლებრივი ნორმები. აგრეთვე, მომაწოდოთ ინფორმაცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრაქტიკის შესახებ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ანალიზი:

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვა ეხება ადვოკატის ქცევის წესების დაცვას სასამართლო დარბაზში, კერძოდ, სასამართლოს სხდომის დასრულების (სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების) შემდგომ (როდესაც აღარ მიმდინარეობს სხდომის აუდიო ჩაწერის პროცესი სასამართლოს მიერ) შესაძლებელია, თუ არა ადვოკატის მიერ მოსამართლის მიერ გაკეთებული ზეპირი განმარტების აუდიო ჩაწერა სასამართლოს სხდომის დარბაზში.

„სასამართლოს შენობაში, ასევე სამოქალაქო საქმის განხილვის ფოტო-კინო-ვიდეო გადაღება, სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა ხორციელდება „საერთო სასამართლოების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით“. (იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 9(1[1]). სასამართლო სხდომის დარბაზში აუდიოჩაწერის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან. (იხ. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლები 13(5), 13[1](4)). ამ მუხლებში საუბარია სასამართლო დარბაზში აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე, რაც მოიაზრებს როგორც პროცესის მიმდინარეობის დროს, ისე მისი დასრულების შემდგომ განხორციელებულ აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, მოსამართლეს (სასამართლოს) შეუძლია მიიღოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზომები (იხ. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 13[1](4)).

აღსანიშნავია, რომ მაღალი პროფესიული და ეთიკური სტანდარტიდან გამომდინარე, ადვოკატს მეტი პასუხისმგებლობა აკისრია სასამართლოს და სხდომაზე დამსწრე პირთა წინაშე და შესაბამისად, ადვოკატის ქცევის თაობაზე კანონი ცალკე აკეთებს მითითებას, რომლის თანახმად, „ადვოკატის არასათანადო ქცევის შესახებ სასამართლოს გამოაქვს შესაბამისი განჩინება, რომელიც ეგზავნება ადვოკატთა გაერთიანებას“ (იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 212(4)).

რაც შეეხება ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებებს, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატი ვალდებულია დაიცვას, როგორც კანონიერების პრინციპი, რაც გულისხმობს კანონით დადგენილი წესების შესრულებასა და ამ წესებით ხელმძღვანელობას, ისე სასამართლოსთან კომუნიკაციის ეთიკური სტანდარტი.

ადვოკატი ვალდებულია კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს მხოლოდ და მხოლოდ ის საშუალებები, რომელიც არ არის აკრძალული არც კანონმდებლობით და არც პროფესიული ეთიკის ნორმებით (იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6(1)).

ანალოგიურ მოთხოვნას აწესებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდგომში „აპეკ“) მე-5 მუხლი, რომელიც უთითებს, რომ ადვოკატის მოქმედებები, რომელიც მიმართულია კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და პროფესიული ეთიკის ნორმებს (იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 5).

ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს (იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9(1)).

ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლის მატარებელი პირის ვალდებულებაა სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა, რაც გულისხმობს, როგორც კანონმდებლობით დადგენილი წესების, ასევე პროფესიული ქცევის სტანდარტების მიმართ პატივისცემას.

წარმომადგენლობის განხორციელება და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედება არ ამართლებს ადვოკატის ქმედებას აუაროს გვერდი კანონს ან პროფესიული ეთიკის ნორმებს.

ეთიკის კომისიამ 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ ადვოკატმა პატივი არ სცა სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს, რითაც მან დაარღვია აპეკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი. მოცემულ გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლის პროფესიული ვალდებულებები სასამართლოს მიმართ უნდა ეფუძნებოდეს მართლმსაჯულების ინტერესს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებას და ღირსებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე ეთიკის წესების დაცვას. დაცვის უფლების განხორციელებისას ადვოკატი შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით არის განსაზღვრული". (იხ. ეთიკის კომისიის 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #158/13).

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებაში იმსჯელა ადვოკატის მიერ სასამართლოში ქცევის წესების დარღვევის თაობაზე და აღნიშნა, რომ „ადვოკატმა არ დაიცვა სასამართლო დარბაზში წესრიგი და არ დაემორჩილა მოსამართლის მითითებებს. ადვოკატის მსგავსი ქმედებები მაშინაც კი არ არის გამართლებული, როდესაც იგი ადვოკატისათვის მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელებას ისახავს მიზნად. კანონით მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელება არ წარმოადგენს ადვოკატის მიერ სასამართლო დარბაზში მოსამართლის მითითებისადმი დაუმორჩილებლობის გამართლების საფუძველს."(ეთიკის კომისიის 2010 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე N010/10).

მოცემული ნორმებისა და პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს აუდიო ჩაწერის განხორციელება შეუძლია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და აღნიშნული წესების დაცვა არ არის დამოკიდებული იმაზე, მიმდინარეობს თუ არა სასამართლოს სხდომა, რადგან კანონის ჩანაწერით სასამართლო სხდომის დარბაზში (და არა მხოლოდ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას) აუდიო ჩანაწერის განხორციელებისათვის აუცილებელია ნებართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატის ქმედება ჩაითვლება კანონთან შეუსაბამოდ, რის გამოც შესაძლებელია ადვოკატს დაეკისროს როგორც სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობა (რასაც მოსამართლე/სასამართლო განსაზღვრავს), ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობა (რომელიც ეთიკის კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება) კანონიერების პრინციპისა და სასამართლოსთან კომუნიკაციის ეთიკური სტანდარტის დარღვევის საფუძვლით.

დასკვნა:

ადვოკატმა სასამართლო შენობაში, მათ შორის სასამართლოს სხდომის დარბაზში ყოფნისას აუდიოჩაწერა უნდა განახორციელოს მხოლოდ კანონის შესაბამისად, კერძოდ, მხოლოდ მოსამართლის ნებართვით, სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან, რადგან კანონი პირდაპირ უთითებს, რომ აუდიო ჩაწერა სასამართლო სხდომის დარბაზში, და არა მხოლოდ და

მხოლოდ პროცესის მიმდინარეობისას, შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ნებართვის მოპოვებით, სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან.

მოცემული წესის დარღვევისათვის ადვოკატს შესაძლოა დაეკისროს სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. ადვოკატს ასევე შესალოა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა, რადგან ადვოკატის მიერ დარღვეულად ჩაითვლება კანონიერების პრინციპი და სასამართლოსთან კომუნიკაციის ეთიკური სტანდარტი.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი (იხ. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 46).

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/